KA030220291970319

№ 02-13058 **18 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო
რეგულირების სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის,
თეიმურაზ პირველაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, კომისიური წესით, შეისწავლა პაციენტ კარინა ოგანოვისათვის შპს „ტასო-დენტში“ გაწეული სამედიცინო დახმარების საკითხი და „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგალმენტის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის № 359 დადგენილებით განსაზღვრული პირობების დაცვის მდგომარეობა.

პაციენტმა კარინა ოგანოვამ 2018 წლის 9 ნოემბერს, მკურნალობის მიზნით მიმართა შპს „ტასო-დენტს“. პაციენტი კონსულტირებულ იქნა ექიმ თამარ ჭრელაშვილის მიერ. მიმართვის მიზეზი: ესთეტიკური დისკომფორტი, D22 კბილის ფესვი მორყევა. საბოლოო დიაგნოზი „D22 K08.1“. პაციენტს გაუკეთდა ინფილტრაციული ანესთეზია ლიგნოკაინით 2% 1 მლ, და ჩაუტარდა D22 კბილის ფესვის ექსტრაქცია. დაენიშნა სოდიანი სავლები 3-ჯერ 3-5 დღე, მიეცა რჩევა-დარიგება პირის ღრუს ადეკვატური ჰიგიენის შესახებ. სამედიცინო ბარათში ფიქსირდება ექიმ თამარ ჭრელაშვილის მიერ ხელმოწერილი ფორმა „პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე“, რომელიც არ არის ხელმოწერილი პაციენტის მიერ.

პაციენტ კარინა ოგანოვას სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულია „სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის” (თერაპევტ-სტომატოლოგ ლ.სანოძე) მიერ. რეცეცენზენტის დასკვნით:„საინტერესოა არსებობს თუ არა კბილის ვიზიორენტგენელოგიური კვლევა მის ექსტრაქციამდე, რაც ექიმს ზუსტი დიაგნოსტიკის საშუალებას მისცემდა და ჩატარებული კბილის ექსტრაქციის ჩვენებასაც დაადასტურებდა, რომ მოცემულ სიტუაციაში კბილის თერაპიული მკურნალობის მცდელობა წარუმატებელი იქნებოდა (ვიზიორენტგენოლოგიური კვლევის მიხედვით), მშვიდ და წყნარ გარემოში აეხსნა პაციენტისთვის, რომ კბილის ამოღება ამ პრობლემის ერთადერთი გზაა, დეტალურად მოეხსენებინა მკურნალობის გეგმის მიმდინარეობაზე, რომელიც მოიცავს ორთოპედიულ მკურნალობას და იმპლანტაციას“.

სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა–ნაკლოვანებები:

1. სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება ვიზიორენტგენოლოგიური კვლევა ფესვის ექსტრაქციამდე.
2. სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება პაციენტის წერილობითი ინფორმირებიული თანხმობა სამედიცნო მომსახურების გაწევაზე.

ასევე, შპს „ტასო დენტში“ განხორციელდა „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგალმენტის დამტკიცების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის № 359 დადგენილებით განსაზღვრული პირობების დაცვის მდგომარეობის შემოწმება. შემოწმებით დარღვევის ფაქტი არ გამოვლინდა.

შესწავლის შედეგები მოხსენებითი ბარათის სახით წარედგინა (№02-12452 11.07.2019წ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ზაზა ბოხუას. დაისვა საკითხი, პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, ,,საექიმო საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „ტასო-დენტის“ ექიმის, თამარ ჭრელაშვილის (სერტ.: „ქირურგიული სტომატოლოგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში საკითხი განიხილება პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

ინფორმაცია შესწავლის შედეგების თაობაზე და სარეცენზიო დასკვნა წარმოდგენილია დანართის სახით.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ პირველაშვილი